საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

2015 წლის ანგარიში

2015 წელს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით, გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის, საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისა და გარემოსდაცვით საკითხებში საზოგადოების ჩართვის მიზნით განხორციელდა შემდეგი ქმედებები:

1. გარემოსდაცვით განათლების კოორდინირება:

ცენტრი კოორდინირებას უწევს გარემოსდაცვით განათლებას საქართველოში:

- 2015 წელს შეიქმნა გარემოსდაცვითი განათლების საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით, მათ შორისაა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების ეროვნული ცენტრის“, სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“, სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის“, სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოს“, აგრარული უნივერსიტეტის, ასევე არასამთავრობო ორანიზაციებიდან - Ecovision, UNDP, WWF, მწვანეთა მოძრაობის, CENN-ის წარმომადგენლები.

  სამუშაო ჯგუფის მიზანია, უწყებათაშორისი კოორდინაცია, სამომავლოდ ისეთი ქმედებების დაგეგმვა და განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და მათ ჩართვას გარემოსდაცვით ღონისძიებებში;

2. საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა:

- ცენტრის ორგანიზებით, საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით, სკოლის მოსწავლეებისათვის, სტუდენტებისათვის, პედაგოგებისთვის და ფერმერებისთვის ჩატარდა სემინარები გარემოსდაცვით თემებზე: ორჰუსის კონვენცია, ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობა, დაცული ტერიტორიები, ნარჩენების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიები, მწვანე ეკონომიკა, ოზონის შრის დაცვა და სხვა. ასევე გაიმართა საინფორმაციო და სამუშაო შეხვედრები.
- საანგარიშო პერიოდში ლექცია/სემინარები მოისმინა სხვადასხვა უნივერსიტეტის დაახლოებით 600-მდე სტუდენტმა, საქართველოს მასშტაბით 1500-მდე მოსწავლემ. „ნარჩენების მართვის კოდექსით" გათვალისწინებულ საჯარიმო სანქციებს გაეცნო 80 პედაგოგი.
- 2015 წლის ივნისი-ივლისის თვეებში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინიციატივითა და გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა. მხარეებმა განიხილეს ტყითა და წიაღისეულით სარგებლობის სამართლებრივი აქტები. შეხვედრას სხვადასხვა მუნიციპალიტეტის 123 წარმომადგენელი ესწრებოდა.

3. გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობა ფორმალური და არაფორმალური განათლების გზით:

გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობა ფორმალური განათლების გზით:

- 2015 წელს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ინიციატივით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მიერ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით მომზადდა სტანდარტის ძირითადი ჩარჩო დოკუმენტი - „გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისათვის". სტანდარტის მიზანია, ხელი შეუწყოს მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვას გარემოსდაცვითი კომპონენტების გაძლიერებით. სტანდარტი განსაზღვრავს, რა ცოდნა, უნარ-ჩვევები, დამოკიდებულებები და ღირებულებები უნდა ჰქონდეს მოსწავლეს განათლების კონკრეტული საფეხურის (მე-4, მე-6, მე-9 და მე-12 კლასის) ბოლოს.
- ცენტრის ინიციატივით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მომზადებულ სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტს 2015-2016 სასწავლო წლისთვის გარემოსდაცვითი კომპონენტები დაემატა.

გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობა არაფორმალური განათლების გზით:

საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების და ტრენინგების ორგანიზება / მოწყობა სამიზნე ჯგუფების მიხედვით

2015 წლის 24 მარტს ცენტრისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრანტებს ცენტრის განათლების პროექტების სამსახურის უფროსმა ჩაუტარა ტრენინგი თემაზე: „ადამიანის ეკოლოგიური უფლებები". პროექტი მიმდინარეობს პრაქტიკული სამართლის კლინიკის ფარგლებში. ტრენინგის მიზანია, სტუდენტებმა მიღებული ცოდნა გაუზიარონ სკოლის მოსწავლეებს. სტუდენტები გაეცნენ ორჰუსის კონვენციის ძირითად პრინციპებს, იმსჯელეს პრობლემებზე გარემოს დაცვის სფეროში და მათი გადაჭრის გზებზე, ასევე აქტიურად ჩაერთვნენ სიტუაციურ სწავლებაში. ტრენინგს ესწრებოდა **12 სტუდენტი;**

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ინიციატივით შემუშავდა ახალი სასწავლო პროგრამა - „გარემოსდაცვითი მმართველი", რომლის მიზანია კანონით დაკისრებული მოთხოვნებისა და თანამედროვე სამყაროს სტანდარტების გათვალისწინებით კომპანიებისთვის შესაბამისი კადრის გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

5-დღიანი ტრენინგები მიმდინარეობს და **უკვე გადამზადებულია 71 მონაწილე.**

ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი იღებს სოციალურ პასუხისმგებლობას. უნივერსიტეტების მიერ წარმოდგენილი წარჩინებული სტუდენტებიდან, გასაუბრების შედეგად შეირჩა ხუთი სტუდენტი, რომელთაგან სამმა უკვე გაიარა ტრენინგი უფასოდ. ამით ახალგაზრდებს მიეცათ შესაძლებლობა, გახდნენ სერტიფიცირებული გარემოსდაცვითი მმართველები და დასაქმდნენ კომპანიებში გარემოსდაცვითი მიმართულებით.

„მწვანე დღეების" და გარემოსდაცვითი კამპანიების აღნიშვნა

- 2015 წელს ცენტრის ორგანიზებით გაიმართა გარემოსდაცვითი საგანმანათლებლო კამპანია - „ბაღის ფრინველთა საათი"
- 2015 წელს ცენტრის ორგანიზებით წლის განმავლობაში აღინიშნება გარემოსდაცვითი, ე. წ. მწვანე დღეები, მათ შორის, დედამიწის დღე - 22 აპრილი, ბიომრავალფეროვნების დაცვის საერთაშორისო

დღე - 22 მაისი, გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე - 5 ივნისი, ოზონის შრის დაცვის საერთაშორისო დღე - 16 სექტემბერი, ხის დარგვის საერთაშორისო დღე - 22 ოქტომბერი და ა.შ.

- 2015 წლის 16 სექტემბერს, ოზონის შრის დაცვის საერთაშორისო დღის მე-20 წლისთავი ერთობლივად აღინიშნა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, გაეროს განვითარების პროგრამის - UNDP და ოზონის ეროვნული ერთეულის მიერ. ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა აქტივობა სამიზნე ჯგუფების მიხედვით. საგანმანათლებლო კამპანია გაიმართა საქართველოს მასშტაბით, პირველი ეტაპი დაეთმო საინფორმაციო კამპანიებს სტუდენტებისთვის. საინფორმაციო შეხვედრებს, ლექციებსა და სემინარებს დაესწრო 200-ზე მეტი სტუდენტი. 2015 წლის 16 სექტემბერი - 16 სექტემბერს ოზონის შრის დაცვის საერთაშორისო დღეს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში სტუდენტური კონფერენცია „ოზონის შრე - სიცოცხლის ფარი“ გაიმართა. აქვე მოეწყო ახალგაზრდა დიზაინერების მიერ ოზონის შრის დაცვის თემაზე შექმნილი პოსტერების გამოფენა და გამარჯვებულთა დაჯილდოვება. სამახსოვრო საჩუქრები და სერტიფიკატები გამარჯვებულებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელმძღვანელმა ნილს სკოტმა გადასცეს. ღონისძიებას ესწრებოდა **86 მოწვეული სტუმარი (მათ შორის, 43 სტუდენტი) და კონკურსის მონაწილე.** კამპანიის მეორე ეტაპი დაეთმო სკოლის მოსწავლეებს. კამპანიის ფარგლებში მოეწყო სლოგანების კონკურსი, რომელშიც 4 რეგიონის 101 მოსწავლე ჩაერთო.

<u>ეკოსაგანმანათლებლო ტურების, ეკობანაკების, გარემოსდაცვითი აქციებისა და ღონისძიებების ორგანიზება</u>

- 2015 წლის 22 მაისს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებითა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება - GIZ-ის მხარდაჭერით, თავისუფალი აგრარული უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სატყეო მიმართულების სტუდენტები ეროვნულ სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობას ესტუმრნენ. სსიპ „ეროვნული სატყეო სანერგე მეურნეობის" დირექტორმა - რევაზ ბეჟაშვილმა - სტუდენტებს სანერგე მეურნეობა დაათვალიერებინა და გააცნო ნერგების გამოყვანის, კონტეინერული ნერგის წარმოების, თესვა-დაკალმების პროცესები. ღონისძიებაში მონაწილეობდა 40 სტუდენტი;
- 2015 წლის 1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ეზოში, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის თანამშრომლები მანანა ბეგიაშვილის ლიტერატურულ-შემოქმედებითი სახელოსნოს წევრებს შეხვდნენ.
- 2015 წლის 3 და 5 მაისს მოეწყო დასუფთავების აქცია ალგეთისა და თბილისის ეროვნულ პარკებში. აქციაში მონაწილეობდა თბილისის ზოოპარკის საგანმანათლებლო ცენტრისა და სკოლის 40 მოსწავლე
- 2015 წლის 19-23 ოქტომბრს თბილისში „გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ (CITES) კონვენციის მცენარეთა კომიტეტის რიგით 22-ე შეხვედრა გაიმართა. კონფერენციის ფარგლებში მოეწყო ასევე მოსწავლეთა ნახატების კონკურსი ველურ მცენარეთა და ცხოველთა დაცვის თემაზე. კონკურსის ფარგლებში ჩატარდა ასევე ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები. კონკურსში მონაწილეობა 300-მდე ნახატის ავტორები.
- არასამთავრობო ორგანიზაციებთან - ეკოხედვა/ECOVISION, CENN - თანამშრომლობით ეკობანაკების მონაწილეებს ჩაუტარდათ ტრენინგები თემატიკით: „ადამიანის ეკოლოგიური უფლებები", დაცული ტერიტორიები და მათი მნიშვნელობა". ტრენერი გაიარა ეკობანაკის 250-მა მონაწილემ. ტრენერი ნატო სულთანიშვილი.

4. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს კვალიფიციური კადრების არსებობის ხელშეწყობა ტრენინგების განხორციელების გზით

სასწავლო პროგრამების / ტრენინგების ორგანიზება სამინისტროს თანამშრომლებისთვის

- 2015 წლის მაისი - ივნისში ცენტრის ორგანიზებითა და გერმანიის საერთაშორისო თანამაშრომლობის საზოგადოების (GIZ) ფინანსური მხარდაჭერით, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლებისთვის, კერძოდ ტყის მცველებისთვის, განხორციელდა სასწავლო კურსი - „ტყის მცველების შესაძლებლობების გაძლიერება“. პროექტის ფარგლებში გადამზადდა ეროვნული სატყეო სააგენტოს შვიდი მხარის (სამცხე-ჯავახეთი, კახეთი, ქვემო ქართლი, იმერეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი) 210 ტყის მცველი.
- 2015 წლის ივლისში დაბა ბორჯომსა და ქალაქ ყვარელში სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომლებისთვის, დაცულ ტერიტორიებზე სამართალდარღვევის ფაქტების გამოვლენისა და მათზე შემდგომი რეაგირების კუთხით ტრენინგი გაიმართა. ტრენინგის „საქართველოს დაცული ტერიტორიების ტყეებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენა და შემდგომი რეაგირება“ მონაწილეებმა თეორიული და პრაქტიკული წრთვნა გაიარეს. ტრენინგის მიზანი გახლდათ, დაცული ტერიტორიების კანონაღსრულების სფეროში ჩართული თანამშრომლებისთვის როგორც თეორიული ცოდნის გაღრმავება, ასევე პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამყარების ხელშეწყობა. ტრენინგის დროს მონაწილეებს ჰქოდნათ საველე გასვლა, სადაც გათამაშდა სამართალდარღვევის ფაქტი და მისი მოკვლევა, შემდეგ კი მოეწყო იმიტირებული სასამართლო პროცესი. პროექტს „ევროპის სამეზობლო და საპარტნიორო ინსტრუმენტით მოცული ქვეყნებისათვის სატყეო სექტორში კანონიერების დაცვისა და მმართველობის გაუმჯობესების მეორე პროგრამის“ ფარგლებში, ახორციელებს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) მხარდაჭერითა და დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით. ტრენინგი გაირა დაცული ტერიტორიების სააგენტოს **41-მა თანამშრომელმა;**
- 2015 წლის 14 აგვისტოს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით იუსტიციის სასწავლო ცენტრში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის, დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლებს კომუნიკაციის ფსიქოლოგიის შესახებ ტრენინგი ჩაუტარდათ. . ტრენინგი გაიარა ზემოთ ჩამოთვლილი უწყებების **39-მა თანამშრომელმა.** ტრენერი - ფსიქოლოგი ზურაბ მხეიძე
- აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის - „მმართველობა განვითარებისთვის" - G4G-ის ფარგლებში, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის თანამშრომლებს პოზიციის დეკლარაციისა და მისი შედგენის ხერხების შესახებ ტრენინგი ჩაუტარდათ. ტრენინგში მონაწილეობდა ცენტრის **10 თანამშრომელი;**
- გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით დაცული ტერიტორიების სააგენტოს რეინჯერებს ჩაუტარდათ ტრენინგი „საქართველოს დაცული ტერიტორიებზე სამართალდარღვევის გამოვლენა და შემდგომი რეაგირება“. ტრენინგი ალგეთის, ყაზბეგის, კინტრიშის და ფშავ-ხევსურეთის **დაცული ტერიტორიების ტერიტორიული ადმინისტრაციების 33 რეინჯერს** ორ ეტაპად ჩაუტარდათ. პროექტი ხორციელდება საქართველოში გფა კონსალტინგ გრუპის წარმომადგენლობის მიერ „დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში - საქართველო“ ფარგლებში, KFW-ის დაფინანსებით.

სულ საანგარიშო პერიოდში (2015 წელი) სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ განხორციელბულ გარემოსდაცვით ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 3150-მა ადამიანმა, მათ შორის: 1500-მდე მოსწავლე, 600-მდე სტუდენტი, 165 პედაგოგი, 210 ტყის მცველი, დაცული ტერიტორიების სააგენტოს 74 თანამშრომელი, სამინისტროს სხვადასხვა უწყების 39 ხელმძღვანელი პირი (კომუნიკაციის ფსიქოლოგიის ტრენინგის ფარგლებში), „გარემოსდაცვითი მმართველის" ტრენინგის 71 მონაწილე და სხვა.

- 2015 წელს ცენტრის ორგანიზებით დაიწყო ახალი ინოვაციური პროექტი, რომლის მიზანია საქართველოს ლანდშაფტის, დაცული ტერიტორიების, ბიომრავალფეროვნების, ფოტოგრაფიისა და ვებ-ტექნოლოგიების პოპულარიზაცია. პროექტი გულისხმობს Google Chrome Extension-ის შექმნას.
- დაიწყო ბიოდეგრადირებადი პარკებისათვის სტანდარტის შემუშავებაზე მუშაობა; ამავდროულად ჩვენი ინიციატივით ბაზარზე არსებულ სუპერმარკეტთა ქსელის ნაწილი უკვე გადავიდა ბიოდეგრადირებადი პარკების მოხმარებაზე.
- **„ენერგოეფექტიანობის პრინციპით მომუშავე ორგანიზაციების“ მეპინგი -** ამ ეტაპზე საქართველოში არ არსებობს საკოორდინაციო მექანიზმი, რომელიც დააკავშირებდა ენერგოეფექტურ ცენტრებსა და კომპანიებს. ცენტრის ფარგლებში დაიგეგმა საკოორდინაციო მექანიზმის-საბჭოს შექმნა
- **ავტოტრანსპორტიდან გამონაბოლქვის შემცირების ინოვაციური მიდგომები“ -** რომელიც მიზნად ისახავს შიდა წვის ძრავებში გამონაბოლქვი აირების შემცირების ინოვაციური გამოგონებების გამოყენების ხელშეწყობას. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, ქვეყანაში მოქმედი საწვავის (ბენზინისა და დიზელის) ეროვნული სტანდარტი ყოველწლიურად მკაცრდება, თუმცა ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება კვლავ მწვავე პრობლემად რჩება. გაიმართა კონფერენცია, რომლის მიზანია, დიალოგისა და თანამშრომლობის გზით, მსუბუქი ავტომობილების ვარგისობაზე სავალდებულო ტესტირების, მათ შორის, გამონაბოლქვის კონტროლის ამოქმედებამდე გამოიძებნოს ამ პრობლემასთან ბრძოლის ალტერნატიული გზები. კონფერენციას ნავთობროდუქტების იმპორტიორთა კავშირის, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ექსპერტები ესწრებოდნენ.
- გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ბაზაზე ჩამოყალიბდა მწვანე სივრცე - **„ეკოჰაბი“**, სადაც დაინტერესებულ პირებს საშუალება ექნებათ ყოველი თვის განმავლობაში დაესწრონ საჯარო ლექციებს, დისკუსიებს და კინოჩვენებებს გარემოსდაცვით თემებზე.
- 2015 წლის იანვრიდან მუშაობა დაიწყო სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებ გვერდმა, რომელიც წარმოადგენს გარემოსდაცვითი ინფორმაციის ვებ პორტალს.
- ცენტრის ვებ გვერდზე მუდმივად მიმდინარეობს გარემოსდაცვითი ინფორმაციის განახლება. შეგროვდა და ვებ გვერდზე, შესაბამისი თემატიკის ქვეშ, განთავსდა სხვადასხვა გარემოსდაცვითი ინფორმაცია, მათ შორის: დოკუმენტები, კანონები, მონაცემები, რუკები, ინფოგრაფიკები, ეკოლექსიკონი, გარემოსდაცვითი ლექსიკონი, საინტერესო და პრაქტიკული რჩევები, ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები და საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო კონვენციებია, მიმდინარე და დასრულებული გარემოსდაცვითი პროექტები და ა.შ.

- 2015 წლიდან მუშაობა დაიწყო გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ელექტრონულმა სერვისებმა:
  - ელექტრონული შეტყობინება
  - შეტყობინება კანონდარღვევის შესახებ
  - მწვანე ასისტენტი
  - დასვი შეკითხვა
  - გამოიწერე

- ევროპის გარემოს სააგენტოსა და გარემოს საინფორმაციო სამსახურის ერთობლივი თანამშრობლობით შეიქმნა ელექტრონული გარემოსდაცვითი ლექსიკონი. ლექსიკონი მოიცავს 5 000-ზე მეტ გარემოსდაცვით ტერმინს ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენაზე. უახლოეს მომვალში დაგეგმილია ქართულენოვანი ტერმინების Eionet -GEMET Thesaurus -ზე განთავსება.
- გარემოზე ზემოქმედების ნებართების ვებ რუკაზე 2015 წელს განთავსდა 70 გარემოზე ზემოქმედების ნებართვას დაქვემდებარებული საქმიანობის კოორდინატები და შესაბამისი ინფორმაცია (გზშ ანგარიში, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და სხვა)
- შეიქმნა და მუდმივად ახლდება გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ბაზა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას არასამთავრობო, საჯარო, საერთაშორისო გარემოსდაცვით ორგანიზაციების შესახებ, ასევე გარემოსდაცვით სფეროში მოღვაწე საკონსულტაციო ფირმებს, კვლევით ინსტიტუტებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს და სხვ.
- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სხვადასხვა უწყებიდან მოგროვდა გარემოსდაცვითი თემატიკის მქონე პრეზენტაციები, რომლებიც განთავსდა ცენტრის Slideshare-ის არხზე.
- მომზადდა ნადირობასთან და თევზაობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, ნადირობისა და თევზაობის წესების, ადგილების, დარღვევებისა და ა.შ. შესახებ, რომელიც განთავსდება ცენტრის ვებ გვერდზე .
- განახლდა ცენტრის ბაზაზე არსებული გარემოს დაცვასთან დაკავშირებული წიგნების ელექტრონული ჩამონათვალი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის.
- მომზადდა ექსპერტების ელექტრონული რეგისტრაციის პროექტი შემდგომში ექპერტთა რეესტრის აპლიკაციის შესაქმნელად.